სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

2022 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი

2023

სარჩევი

შესავალი 3
1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები 5
1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები 5
1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები 7
1.3. ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში 17
1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები 25
1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები 30
2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა 32
3. ცენტრალიზებული შესყიდვები 37
4. გამარტივებული შესყიდვები 42
5. „თეთრი სიის“ წარმოება 44
6. „შავი სიის“ წარმოება 45
7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები 46
8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი 48
9. ადამიანური რესურსების განვითარება 49
10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია 51
11. საერთაშორისო ურთიერთობები 52
12. პარტნიორებთან თანამშრომლობა 63

შესავალი

2022 წელი პირველი პოსტპანდემიური წელი იყო, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის (შემდგომში: სააგენტო) საკმაოდ დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა. სააგენტოს მთელმა გუნდმა ჯეროვნად და წარმატებით გაართვა თავი დასახულ მიზნებსა და ვალდებულებებს.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ინფორმაციას 2022 წლის ძირითადი მაჩვენებლების, ცენტრალიზებული შესყიდვების გზით განხორციელებული შესყიდვების, საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავების, ადამიანური რესურსების განვითარების, სახელმწიფო შესყიდვების პროცესების მონიტორინგისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინტენსიფიცირების შესახებ ინფორმაციას.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში 2022 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოქმედ სამართლებრივ ბაზაში, ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა რეგულაციების, წესებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის მიზნით.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით (AA-DCFTA) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებული „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომაზადება, რომელიც თანმდევ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და 2022 წლის 8 ივნისს წარედგინა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით. აღსანიშნავია, რომ წარდგენილი კანონპროექტი, თანმდევ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, 2022 წლის 22 დეკემბერს მეორე მოსმენით იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

ასევე, სააგენტოს მიერ 2022 წლის განმავლობაში მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი.



2022 წელს, 34,000-ზე მეტი ღია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა, 32,207 ტენდერს საბოლოო სტატუსი მიენიჭა და აქედან 23,100-ზე მეტი ხელშეკრულება გაფორმდა.



ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მთლიანმა ღირებულებამ 6,099,248,304 ლარი შეადგინა, რაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 82.4%-ია, ხოლო გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ მთლიანი შესყიდვების 17.6% - 1,299,372,990 ლარი შეადგინა. ჯამურად, 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ღირებულებამ 7,398,621,294 ლარი შეადგინა.

ცენტრალიზებული (კონსოლიდირებული) შესყიდვის გზით 2022 წელს 403 ღია ტენდერი გამოცხადდა 26 სხვადასხვა სახეობის შესყიდვის ობიექტზე, რომლის საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 580 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა, საიდანაც 543 მლნ. ლარს გაუტოლდა ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსირებული საბოლოო ღირებულება; შესაბამისად, ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 36 მლნ. ლარს გადააჭარბა.

2022 წელს სასწავლო ცენტრში 5 განსხვავებული პროგრამით ჩატარდა ტრენინგები შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის. გადამზადებული მსმენელების რაოდენობამ 582, ხოლო 2014-2022 წლებში ჯამურად 6,942 შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა დავების განხილვის საბჭოს კომპლექსური რეფორმირება და შეიქმნა ახალი, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დავების განმხილველი ადმინისტრციული ორგანო - „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო“. აღსანიშნავია, რომ შეიქმნა ახალი ოფიციალური ვებ-გვერდი-https://drc.gov.ge/. აღნიშნულ ვებ-გვერდზე მომხარებლებს შეუძლიათ იხილონ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და დაკავშირებული ელ.-სერვისები, მათ შორის, პირდაპირი დაკავშირება გასაჩივრების ელექტრონულ მოდულთან, საჩივრების შინაარსი, საბჭოს სხდომების განრიგი და განსახილველი საჩივრების ნუსხა, სამართლებრივი აქტები, სახელმძღვანელოები და გადაწყვეტილებების განზოგადოებული პრაქტიკა.

2022 წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ მომზადდა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები, ასევე მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მთელი წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები ევროკომისიის 4 შესაბამის გენერალურ დირექტორატთან; გაიმართა მრავალი სემინარი და კონფერენცია. აღსანიშნავია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტის წლიური სხდომა, სადაც სააგენტო წარსდგა 2022 წლის შემაჯამებელი ანგარიშით და 2023 წლის გეგმებით.

1. სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მაჩვენებლები

1.1 გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და ტიპები

2022 წელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდეგ: eProcurement სისტემა) მეშვეობით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების რაოდენობამ 34,000-ს გადააჭარბა. აქედან, დაახლოებით 85% განეკუთვნებოდა NAT ტიპის ტენდერებს, 10% SPA ტენდერებს და 5% ყველა დანარჩენ შესყიდვის ელექტრონულ პროცედურას. გასულ წელს გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა 7%-თ აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს[1].

დიაგრამა N1: 2022 წელს გამოცხადებული ელექტრონული შესყიდვების პროცედურების რაოდენობა შესყიდვის ტიპების მიხედვით



ისევე, როგორც გასულ წელს 2022 წელსაც, თვეების ჭრილში, ყველაზე მეტი ტენდერი გამოცხადდა დეკემბრის განმავლობაში, რაც განპირობებულია მომდევნო წლისათვის საჭირო შესყიდვების დროულად განხორციელების აუცილებლობით.

[1] 2021 წელს *eProcurement* სისტემაში გამოცხადდა 31,773 სატენდერო პროცედურა.

დიაგრამა N2: 2022 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



დიაგრამა N3: 2021 წელს გამოცხადებული ტენდერების განაწილება თვეების მიხედვით



1.2 სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება და ტენდერების სტატუსები

2022 წელს, გამოცხადებული ტენდერების პარალელურად, ასევე გაზრდილია იმ ტენდერების რაოდენობა რომლებსაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიენიჭა საბოლოო სტატუსი. ასეთი ტენდერების რაოდენობამ 32,207[2] შეადგინა, რაც დაახლოებით 8%-ით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს[3].

72% (23,120) შეადგინა ელექტრონული შესყიდვების გზით დადებული ხელშეკრულებების რაოდენობამ, ხოლო არ შედგა, უარყოფითი შედეგით დასრულდა და შეწყდა ტენდერების 28% (9,087 ტენდერი). დასრულებული ტენდერების საბოლოო სტატუსების დეტალური რაოდენობები ასახულია ქვემოთ მოცემულ N4 დიაგრამაზე.

დიაგრამა N4: 2022 წელს ტენდერებზე მინიჭებული საბოლოო სტატუსები[4]



[2] გამოცხადებული ტენდერების რაოდენობასა და საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერების რაოდენობებს შორის სხვაობა განპირობებულია იმით, რომ გამოცხადებული ტენდერები მოიცავს მხოლოდ იმ ტენდერებს, რომლებიც გამოცხადდა 2022 წლის განმავლობაში, ხოლო 2022 წელს საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერები მოიცავს როგორც 2022 წელს ასევე, წინა წლებში გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებს.

[3] 2021წელს საბოლოო სტატუსი მიენიჭა 29,500 სახელმწიფო შესყიდვის ტენდერს.

[4] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

2022 წელს, რაოდენობრივად ყველაზე მეტი ხელშეკრულება სხვადასხვა საქონელის (10,482, 45%) შესყიდვაზე დაიდო, 6,924 (30%) ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვაზე, ხოლო 5,714 (25%) ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით გაფორმდა. ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ხელშეკრულებების გადანაწილება შესყიდვის კატეგორიების მიხედვით ასახულია N 5 დიაგრამაზე.

დიაგრამა N5: 2022 წელს დადებული ხელშეკრულებების განაწილება შესყიდვის ობიექტების მიხედვით



ქვემოთ განთავსებულ N1 ცხრილში მოცემულია ტოპ 10 შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულება დადებული ტენდერების პროცენტული წილის მიხედვით. საანგარიშო პერიოდის მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობას. მათ მიერ ჩატარებული 61 ტენდერიდან, 59 შემთხვევაში დაიდო სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, რაც საბოლოო სტატუს მინიჭებული ტენდერების დაახლოებით 97%-ს შეადგენს.

ცხრილი N1: "ტოპ 10" შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულება დადებული ტენდერების ყველაზე მეტი პროცენტული წილით[5]

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერების რაოდენობა	ხელშეკრულების რაოდენობა	%
1	ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობა	61	59	96.7
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	75	70	93.3
3	ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა	58	54	93.1
4	ქ.თბილისის ისნის რაიონის გამგეობა	127	118	92.9
5	ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა	121	108	89.3
6	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	108	96	88.9
7	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	143	127	88.8
8	შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი	50	44	88.0
9	ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა	117	102	87.2
10	საბურთალოს რაიონის გამგეობა	69	60	87.0

[5] ცხრილში მოცემულია მხოლოდ ის "ტოპ 10" შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში გამოცხადებული იყო სულ მცირე 50 ელექტრონული ტენდერი. მონაცემები არ მოიცავს: GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

2022 წლის განმავლობაში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ჯამური ღირებულება 7,398,621,294 ლარს გაუტოლდა, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10.3%-ს შეადგენს[6].

დიაგრამა N6: სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები წლების მიხედვით (მლრდ. ლარი)



2022 წელს, წინა წელთან შედარებით ელექტრონული და კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების მთლიანი ღირებულება დაახლოებით 1.4 მლრდ ლარით გაიზარდა და 6,099,248,304[7] ლარი შეადგინა, რაც სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 82.4% არის.

1,299,372,990 ლარი (17.6%) შეადგინა გამარტივებული შესყიდვების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ. აღსანიშნავია, რომ 2021 წელთან შედარებით გამარტივებული შესყიდვებით განხორციელებული ხელშეკრულებების ჯამური თანხა 0.4%-ით არის შემცირებული.

აქვე ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვების უმეტესი წილი - 34% (436,061,655 ლარი) განეკუთვნება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების (სპორტის სფეროს) შესასრულებლად განხორცილებულ გამარტივებული შესყიდვებს (181,460,971), ქვეყნის ინფექციური უზრუნველყოფისთვის განხორციელებული

[6] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2022 წლის მთლიანი შიდა პროდუქტი უტოლდება 71,940 მილიარდ ლარს. წყარო: https://www.geostat.ge

[7] მონაცემები მოიცავს ყველა ტიპის ელექტრონული ტენდერის შედეგად გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის, კონსოლიდირებული ტენდერების მეშვეობით გაფორმებულ შესყიდვების ხელშეკრულებებს. მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, GRA და B2B ტენდერებს.

შესყიდვებს (23,328,052), ასევე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სუბსიდიებისა (90,000,000) და მონეტარული ზღვრის დაცვით განხორციელებულ, 5,000 ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე შესყიდვებს.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულებების გადანაწილება მათი საფუძვლების მიხედვით დეტალურად ნაჩვენებია N7, N8 და N9 დიაგრამებზე.

დიაგრამა N7: 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N8: 2022 წელს გამარტივებული შესყიდვების ხელშეკრულებების ღირებულება



დიაგრამა N9: 2022 წელს გამარტივებული შესყიდვების, სუბსიდიების, ელექტრონული ტენდერების და კონსოლიდირებული ტენდერების მოცულობები



N2 და N3 ცხრილებში ნაჩვენებია 2021 და 2022 წლებში ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების და რაოდენობების განაწილება ტენდერების თანხობრივ ჭრილში. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, თითქმის ყველა თანხობრივ ჭრილში, ტენდერების ღირებულებები და რაოდენობები აღემატება წინა საანგარიშო პერიოდის ანალოგიურ მონაცემებს.

ცხრილი N2: 2021 და 2022 წლებში ჩატარებული ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები თანხობრივ ჭრილში[8]

სახელშეკრულებო ღირებულება	2022 წელი		2021 წელი
10,000 და ნაკლები	36,506,026	↑	32,735,929
10,001 - 20,000	55,434,640	↑	50,261,564
20,001 - 30,000	54,110,399	↑	49,651,349
30,001 - 40,000	50,225,605	↓	51,049,156
40,001 - 50,000	48,255,968	↑	46,626,786
50,001 - 100,000	196,908,886	↑	179,318,353
100,001 - 200,000	299,447,392	↑	252,514,960
200,001 და მეტი	4,814,781,738	↑	3,513,027,362
სულ:	**5,555,670,654**	↑	**4,175,185,459**

2022 წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები 9%-ით არის გაზრდილი 2021 წელთან შედარებით. 400-ზე მეტი ხელშეკრულება გაფორმდა იმ ტენდერებზე , რომელთა ხელშეკრულებების ღირებულება აღემატებოდა 200,000 ლარს (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3: 2021 და 2022 წლებში ჩატარებული ტენდერების რაოდენობები სახელშეკრულებო ღირებულებების ჭრილში[9]

სახელშეკრულებო ღირებულება	2022 წელი		2021 წელი
10,000 და ნაკლები	6,956	↑	6,403
10,001 - 20,000	3,748	↑	3,395
20,001 - 30,000	2,145	↑	1,978
30,001 - 40,000	1,426	↓	1,450
40,001 - 50,000	1,061	↑	1,029
50,001 - 100,000	2,718	↑	2,479
100,001 - 200,000	2,094	↑	1,750
200,001 და მეტი	2,972	↑	2,556
სულ:	**23,120**	↑	**21,040**

[8] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.
[9] მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, CON, GRA და B2B ტენდერებს.

ტენდერების მეშვეობით გაფორმებული ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 42% მოდის „ტოპ 10“ ყველაზე მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ტენდერებზე, რაც თანხობრივად 2,924,806,74 ლარს უტოლდება.

ქვემოთ მოცემულ N4 და N5 ცხრილებში დაანგარიშებულია ყველაზე დიდი მოცულობების შესყიდვების მქონე ორგანიზაციების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებები და ასევე, იმ ყველაზე მსხვილი ხელშეკრულებების ჯამური ღირებულებები რომლებიც დაიდო გარკვეულ CPV კატეგორიებზე.

ცხრილი N4: 2022 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ხელშეკრულება დადებული ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულებების ჯამი
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	170	1,067,409,698
2	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	191	520,286,280
3	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	48	340,510,572
4	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	89	251,140,993
5	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	477	210,011,130
6	ქ. თბილისის მერია	265	174,168,205
7	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	118	114,782,653
8	სოციალური მომსახურების სააგენტო	23	105,893,355
9	თბილისის სატრანსპორტო კომპანია	175	76,527,556
10	შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია	26	64,076,299

შესყიდვის კატეგორიის ჭრილში ჯამურად ყველაზე მეტი ხელშეკრულება CPV-45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოებზე დაიდო. აღნიშნული ხელშეკრულებების რაოდენობამ 3,550, ხოლო ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 2,475,132,262 ლარი შეადგინა.

2022 წელს, ტენდერების საფუძველზე დახარჯული თანხების 60%-ზე მეტი გადანაწილდა 10 ყველაზე მსხვილ CPV კატეგორიაზე, რომელთა ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 3,378,752,158 ლარი შეადგინა. ამასთანავე, ხსენებული მსხვილი CPV კატეგორიებიდან, ყველაზე მეტი თანხა - 2.9 მილიარდამდე ლარი დაიხარჯა ინფრასტრუქტურულ და სხვადასხვა სახის სამოქალაქო დანიშნულების

შენობანაგებობების სამშენებლო სამუშაოებსა და მშენებლობასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე(იხ. ცხრილი N5).

ცხრილი N5: 2022 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებების მიხედვით

N	CPV კატეგორია	ხელშეკრულებების რაოდენობა	ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება
1	**45200000** - მთლიანი ან წაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	3550	2,475,132,262
2	**45400000** - შენობის დასრულების სამუშაოები	1052	232,984,296
3	**45300000** - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	578	138,002,095
4	**45100000** - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	356	109,717,727
5	**66100000**-საბანკო და საინვესტიციო მომსახურებები	6	105,204,172
6	**33600000** - ფარმაცევტული პროდუქტები	581	89,746,849
7	**33100000**-სამედიცინო მოწყობილობები	604	62,046,200
8	**34100000** - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	189	59,886,919
9	**50200000** - თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები	13	54,829,997
10	**55500000** - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება	72	51,201,640

1.3. ეკონომია და პრეტენდენტების რაოდენობა ტენდერებში

2022 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლოს, მომსახურების თუ სამშნებელო სამუშაოების შესარულებლად 4,373,505,323 ლარზე დაიდო ხელშეკრულება.

მიმწოდებლებს შორის კონკურენციის პირობებში, საერთო ჯამში დაფიქსირდა დაახლებით 424 მილიონი ლარის ეკონომია[10]. აღნიშნული თანხიდან ყველაზე მეტი - დაახლოებით 275 მილიონი ლარი, დაიზოგა ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა სახის სამოქალაქო დანიშნულების შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში, 90 მლნ ლარზე მეტი საქონლის, ხოლო 58 მლნ ლარამდე მომსახურების შესყიდვაზე(იხ. ცხრილი N6).

ცხრილი N6: ეკონომიის მაჩვენებლები 2022 წელს დასრულებულ ტენდერებში

შესყიდვის კატეგორია	სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება	ეკონომია	%
საქონელი	840,768,265	750,510,973	90,257,292	10.7%
მომსახურება	722,671,815	664,826,475	57,845,340	8.0%
სამშენებლო სამუშაოები	3,233,826,888	2,958,167,875	275,659,013	8.5%
სულ	**4,797,266,968**	**4,373,505,323**	**423,761,645**	**8.8%**

[10] მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების დათვლის მიზნით მონაცემები არ მოიცავს GEO, DEP, B2B, CON, GRA და პრეისკურანტიან ტენდერებს.

N10 დიაგრამაზე ასახულია მიღებული ეკონომიის მოცულობები შესყიდვების სხვადასხვა კატეგორიების ჭრილში.

დიაგრამა N10: ეკონომიის მაჩვენებლები 2022 წელს დასრულებულ ტენდერებში



ქვემოთ მოცემული N7 და N8 ცხრილებში მოცემულია ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებლები შემსყიდველი ორგანიზაციების და CPV კატეგორიების მიხედვით. ცხრილებში ჩამოთვლილია „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთა მიერ გამოცხადებულ ტენდერებში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ეკონომიები და ასევე, ის „ტოპ 10“ CPV კატეგორია, რომლებშიც ტენდერების შედეგად დაიზოგა ყველაზე მეტი თანხები. როგორც აღნიშნულ ცხრილებში ჩანს, სახელმწიფო ტენდერებში დაფიქსირებული ეკონომიის თითქმის ნახევარი - 208,065,088 ლარი მოდის „ტოპ 10“ შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე.

ცხრილი N7: 2022 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია ეკონომიის მიხედვით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	ტენდერების სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება ტენდერებში	ეკონომია	%
1	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	723,602,317	637,086,998	86,515,319	12
2	შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია	274,834,210	249,828,779	25,005,431	9
3	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	221,723,048	196,965,475	24,757,573	11
4	ქ. თბილისის მერია	195,189,818	172,762,205	22,427,613	11
5	ა(ა)იპ საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	126,451,238	114,266,153	12,185,085	10
6	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	215,632,667	205,144,282	10,488,385	5
7	სურსათის ეროვნული სააგენტო	31,707,404	24,183,139	7,524,265	24
8	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	70,464,949	63,396,475	7,068,474	10
9	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	26,552,257	20,179,816	6,372,441	24
10	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი	55,308,237	49,587,735	5,720,502	10
	სულ:			208,065,088	

დაანგარიშებული მონაცემების მიხედვით, საერთო ჯამში დაფიქსირებული ეკონომიის 49% (208 მილიონი ლარი) მიღებულ იქნა ათი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. გარდა ამისა, მთლიანი ეკონომიის დაახლოებით 80% (340 მილიონი ლარი) მოდის ათ CPV კატეგორიაზე გამოცხადებულ ტენდერებში.

ცხრილი N8: 2022 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია ეკონომიის მიხედვით

N	CPV კატეგორია	ტენდერის სავარაუდო ღირებულება	ბოლო შეთავაზება ტენდერებში	ეკონომია	%
1	45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები	2,706,327,556	2,475,132,262	231,195,294	9%
2	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	72,282,737	45,844,105	26,438,632	37%
3	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	251,910,425	232,984,296	18,926,129	8%
4	30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	152,989,223	138,002,095	14,987,128	10%
5	45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	70,570,898	59,886,919	10,683,979	15%
6	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	120,172,983	109,717,727	10,455,256	9%
7	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	97,714,839	89,746,849	7,967,990	8%
8	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	69,715,598	62,046,200	7,669,398	11%
9	33100000- სამედიცინო მომსახურებები	26,139,526	20,025,207	6,114,319	23%
10	715000000-მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	22,149,774	16,549,619	5,600,155	25%
	სულ:			340,038,278	

2022 წელს მცირედით შემცირდა პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა და შეადგინა 1.91. წინა წლების მსგავსად, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 2.2 დაფიქსირდა სამშენებლო სამუშაოების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში; 1.8 - საქონლის და 1.9 მომსახურების CPV კატეგორიებზე გამოცხადებულ ტენდერებში.

დიაგრამა N11: 2022 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა შესყიდვის ობიექტების მიხედვით[11]



გასულ წელთან შედარებით, საშუალო მონაწილეობა შემცირებულია NAT ტიპის ტენდერებში და გაზრდილია მონაწილეობა SPA ტიპის ტენდერებში.

[11] პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა დათვლილია 2020 წელს დასრულებულ იმ ტენდერებში, რომლებზეც დადებულია სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები. მონაცემებში არ შედის GEO, DEP, GRA, CON და B2B ტენდერები.

დიაგრამა N12:2021 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



დიაგრამა N13:2022 წელს პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა ტენდერის ტიპების მიხედვით



ზემოხსენებული სტატისტიკური მონაცემების გარდა, მომდევნო ცხრილებში (N9 და N10) ასახულია პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა, როგორც ცალკეულ CPV კოდებზე, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული ტენდერების მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში, პრეტენდენტების საშუალო რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 3.32 დაფიქსირდა **CPV 71500000-მშენებლობასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე** გამოცხადებულ ტენდერებში, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით საშუალო პრეტენდენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში (იხ. N9 და N10 ცხრილები).

ცხრილი N9: 2022 წელს „ტოპ 10“ CPV კატეგორია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით

N	CPV კატეგორია	მონაწილეთა რაოდენობა	ტენდერის რაოდენობა	პრეტენდენტის საშუალო რაოდენობა
1	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	123	37	3.32
2	71200000 - არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	346	132	2.62
3	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	3,209	1,227	2.62
4	98300000 - სხვადასხვა მომსახურება	286	118	2.42
5	45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები	2,505	1,052	2.38
6	44600000 - ავზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები	240	101	2.38
7	30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები	1,687	722	2.34
8	33100000 - სამედიცინო მოწყობილობები	1,402	604	2.32
9	34100000 - ავტოსატრანსპორტო საშუალებები	423	189	2.24
10	45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები	777	356	2.18

ცხრილი N10: 2022 წელს „ტოპ 10“ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტების ყველაზე მაღალი საშუალო რაოდენობით

N	შემსყიდველი ორგანიზაცია	პრეტენდენტების საშუალო რაოდენობა
1	მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	3.01
2	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	2.92
3	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	2.91
4	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	2.86
5	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	2.73
6	ქალაქ თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა	2.72
7	ქ. თბილისის წავალადევის რაიონის გამგეობა	2.72
8	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	2.68
9	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება- საავტომობილო გზების დეპარტამენტი	2.58
10	ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა	2.57

1.4 სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლები და შესყიდვებში გამარჯვებული მიმწოდებლები

2022 წელს eProcurement სისტემაში დარეგისტრირდა 3,550 ახალი მიმწოდებელი და ჯამში სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობამ, წლის ბოლოსთვის შეადგინა 52,724. აღსანიშნავია, რომ სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლებიდან 2,582-მდე არის არარეზიდენტი ბიზნეს სუბიექტი, 85 ქვეყნიდან (იხ. დიაგრამა N14 და N15).

ამასთანავე, სისტემას დაემატა 50 ახალი შემსყიდველი ორგანიზაცია და მათმა რიცხვმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 4,525.

დიაგრამა N14: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული მიმწოდებლების რაოდენობა წლების მიხედვით



დიაგრამა N15: eProcurement სისტემაში რეგისტრირებული არარეზიდენტი მიმწოდებლების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით


410
374
211
170
153
123
110
80
63
56
51
49
49
46
41
39
39
36
35
33
33
27
25
23
17
16
16
15
14
14
14
13
11
11
10
10
10
9
9
8
7
6
5
5
4
3
3
3
3
3
3
2
1
1
1

დიაგრამა N16: 2022 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულების წილი



არარეზიდენტ კომპანიებთან გაფორმებული 97,759,675 ლარიდან, ყველაზე დიდი წილი - 46 მლნ ლარის ხელშეკრულების ღირებულების კონტრაქტები გაფორმდა საფრანგეთში რეგისტრირებულ კომპანიებთან, შემდეგ მოდის აშშ, 26 მლნ-ზე მეტი ხელშეკრულების ღირებულებითა და უნგრეთი 8 მლნ-ამდე ლარამდე დადებული ხელშეკრულებებით(იხ. ცხრილი N11).

ცხრილი N11: 2022 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება ქვეყნების მიხედვით

N	ქვეყანა	ხელშეკრულებების ღირებულებების ჯამი
1	საფრანგეთი	46,062,419
2	აშშ	26,203,353
3	უნგრეთი	7,840,253
4	დანია	4,237,166
5	შვეიცარია	3,380,135
6	უკრაინა	2,228,272
7	გერმანია	1,598,090
8	ფინეთი	1,344,624
9	ჩეხეთის რესპუბლიკა	1,170,073
10	მაკედონია	1,148,571
11	პოლონეთი	867,043
12	ესპანეთი	822,000
14	რუმინეთი	284,700
15	იტალია	277,289
16	თურქეთი	175,704
17	დიდი ბრიტანეთი	109,184
18	აზერბაიჯანი	10,500
სულ		97,759,376

ცხრილი N12: 2022 წელს ტენდერების საფუძველზე არარეზიდენტ მიმწოდებლებთან გაფორმებული „ტოპ 10“ ხელშეკრულება ღირებულების მიხედვით

N	ტენდერის ტიპი	შემსყიდველი ორგანიზაცია	მიმწოდებელი	შესყიდვის კატეგორია	ხელშეკრულების ღირებულება
1	MEP220000005	საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	500 Startups Incubator, LLC	79400000 - ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციები და მომსახურებები	22,973,290
2	NAT220008088	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის	Sanofi Pasteur	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	17,982,600
3	NAT220011364	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს	EGIS International	71500000 - მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები	14,925,000
4	NAT220008087	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	Sanofi Pasteur	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	9,348,000
5	NAT220001705	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	Sanofi-Aventis Private Co. Ltd	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	7,840,253
6	NAT220006965	ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"	Sanofi Pasteur	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	3,658,000
7	NAT220001703	სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	novo norrdisk a/s denmark	33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები	2,393,228
8	NAT210020066	შპს საქაერონავიგაცია	Selex ES Inc.	34900000 - სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო	2,202,563
9	NAT220011533	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	Авиационный расчетный центр	71300000 - საინჟინრო მომსახურებები	1,666,165
10	NAT220002016	სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	MUEHLBAUER ID SERVICES GMBH	22400000 - მარკები, ჩეკების წიგნაკები, ბანკნოტები, აქციები, სარეკლამო მასალა, კატალოგები და სახელმძღვანელოები	1,598,090

N12 ცხრილში მოცემულია არარეზიდენტ მიმწოდებლებთან ტენდერების მეშვეობით გაფორმებული „ტოპ 10“ ყველაზე მსხვილი ხელშეკრულების ღირებულებები. აღნიშნული ტენდერების სახელშეკრულებო ღირებულების ჯამურმა ოდენობამ დაახლოებით 85 მლნ. ლარი შეადგინა. ყველაზე დიდი ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში (22,973,290 ლარის), CPV 79400000-ბიზნესსა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კონსულტაციებისა და მომსახურებების კატეგორიაზე.

1.5 შესყიდვები დონორის სახსრებით - DEP ტენდერები

2022 წლის განმავლობაში, eProcurement სისტემაში ხელშეკრულება დაიდო 35 DEP ტიპის ტენდერში (შესყიდვები დონორი ორგანიზაციების სახსრებით), რომლებიც ჩატარდა საერთაშორისო ორგანიზაციების წესების მიხედვით.

აღნიშნული ტენდერების ჯამურმა სახელშეკრულებო ღირებულებამ 219,246,732 ლარი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ხელშეკრულებების ღირებულების და რაოდენობების გადანაწილება დონორების და შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით.

ცხრილი N13: 2022 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება დონორების მიხედვით

დონორი	DEP ტენდერების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
მსოფლიო ბანკი	23	153,366,777
აზიის განვითარების ბანკი	9	59,047,863
ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი	1	5,501,041
ევროკავშირი	1	951,151
სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაცია	1	379,900
სულ	**35**	**219,246,732**

ცხრილი N14: 2022 წელს DEP ტენდერების ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების გადანაწილება შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით

შემსყიდველი ორგანიზაცია	DEP ტენდერეების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება
საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	20	156,305,791
ოუფენ ნეტი	5	31,021,084
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	4	4,183,611
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	3	25,478,953
სსიპ აწარმოე საქართველოში	2	1,306,142
გორის მუნიციპალიტეტის მერია	1	951,151
სულ	**35**	**219,246,732**

2. სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში 2022 წელს განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოქმედი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის, ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების დახვეწის მიზნით. კერძოდ:

- ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებული „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, თანმდევ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და 2022 წლის 8 ივნისს წარედგინა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით. აღსანიშნავია, რომ წარდგენილი კანონპროექტი, თანმდევ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, 2022 წლის 22 დეკემბერს მეორე მოსმენით იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

  კანონპროექტი მიზნად ისახავს, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული, ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან დაახლოების II და IV ფაზებით (ეტაპებით) გათვალისწინებული რეგულაციების იმპლემენტაციას ეროვნულ კანონმდებლობაში. საგულისხმოა, რომ კარდინალურ რეფორმირებას განიცდის ამჟამად მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა. კერძოდ, ევროდირექტივების შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით, იცვლება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული არაერთი მიდგომა თუ ასპექტი, მათ შორის, ინერგება საჯარო შესყიდვის ახალი პროცედურები, ინსტრუმენტები და ინოვაციური მიდგომები. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი, ერთი მხრივ, ქმნის განჭვრეტად და მოქნილ გარემოს საჯარო შესყიდვის პროცედურებში ბიზნეს სუბიექტების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრავს ეფექტიან მექანიზმებს საჯარო შესყიდვებისთვის განკუთვნილი სახსრების რაციონალურად, გამჭვირვალედ და კანონის მოთხოვნათა დაცვით განსახორციელებლად.

  აღსანიშნავია, რომ ახალი „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით ახლებურად რეგულირდება შავი სიასთან დაკავშირებული საკითხები – საფუძვლები, შავ სიაში რეგისტრაციის ვადები. კანონპროექტის თანახმად, იზრდება შავ სიაში რეგისტრაციის ხანგრძლივობა და შესაბამისი დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით განისაზღვრება 3, 2 ან 1 წლით. ამასთან შესაძლებელი ხდება შავი სიიდან ვადაზე ადრე ამოღება, იმ შემთხვევაში თუკი ეკონომიკური ოპერატორი საკუთარი სანდოობის დასადასტურებლად მიიღებს კანონპროექტით განსაზღვრულ სათანადო ზომებს, მაგალითად, გადაიხდის ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენით გამოწვეულ კომპენსაციას ან აიღებს მისი გადახდის ვალდებულებას; მიიღებს ეფექტიან ზომებს (მათ შორის, განახორციელებს სათანადო ტექნიკურ, ორგანიზაციულ და საკადრო ღონისძიებებს) დანაშაულის ან გადაცდომის თავიდან ასაცილებლად.

  ხაზგასასმელია, რომ კანონპროექტის თანახმად, საჯარო შესყიდვის სპეციალისტები დაექვემდებარებიან სავალდებულო სერტიფიცირებას, რაც, ერთი მხრივ, საჯარო შესყიდვებში გაზრდის კვალიფიკაციის დონეს, ხოლო, მეორე მხრივ,

ხელს შეუწყობს სერტიფიცირებული სპეციალისტების დასაქმებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სერტიფიცირებასთან მიმართებით დებულებები, შესყიდვის სპეციალისტთა გადამზადების/სერტიფიცირებისათვის საჭირო ვადის გათვალისწინებით, ამოქმედდება მოგვიანებით, კანონპროექტის ძირითადი ნაწილის ამოქმედების შემდგომ. ამდენად, პირველ ეტაპზე, შემოღებულ იქნება აღნიშნული ინსტიტუტი და დაიწყება შესაბამის პირთა სერტიფიცირება. მას შემდეგ, რაც ამ პროცესის შედეგად, სახელმწიფოს ეყოლება სერტიფიცირებული კადრები, ამოქმედდება მეორე ეტაპი და შემსყიდველი ორგანიზაციის საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულში/თანამდებობაზე მხოლოდ ამ სერტიფიკატის მფლობელი პირების დასაქმება იქნება შესაძლებელი.

კანონპროექტის თანახმად, 2027 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობა შექმნის ახალ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – ცენტრალურ შემსყიდველ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ცენტრალიზებულ შესყიდვებთან (ამჟამად მოქმედი კონსოლიდირებული ტენდერის მსგავსი) დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონპროექტის თანახმად, საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმები შეიძლება დაეფუძნოს არამხოლოდ დაბალ ფასს, არამედ ეკონომიკურ ეფექტიანობას (მათ შორის, სასიცოცხლო ციკლის დანახარჯს), აგრეთვე, ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობას, რა დროსაც გაითვალისწინება შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ხარისხობრივი, გარემოსდაცვითი ან სოციალური ასპექტები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონპროექტის თანახმად, სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით შესაძლებელია განისაზღვროს შემთხვევები, როდესაც დასაშვებია ან აკრძალულია მხოლოდ დაბალი ფასის კრიტერიუმის დაწესება. ამასთან, ახალი „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, საჯარო შესყიდვის რიგი პროცედურების (კონკურენტული დიალოგი, ინოვაციური პარტნიორობა, კონკურსი) განხორციელებისას ფასისა და ხარისხის საუკეთესო თანაფარდობის კრიტერიუმის გამოყენება სავალდებულო იქნება.

კანონპროექტი ასევე მოიცავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებულ საჯარო შესყიდვების სრულიად ახალ თავსაც. აღნიშნულ სფეროში, ევროკავშირის შესაბამისი დირექტივით განსაზღვრული დებულებების დანერგვის ვალდებულება გათვალისწინებულია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით.

საგულისხმოა, რომ მოქმედ საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს თან ახლავს შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს ცვლილების განხორციელებას 34 საკანონმდებლო აქტში.

ხაზგასასმელია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულია მისი ამოქმედების განსხვავებული თარიღები. კერძოდ, კანონპროექტის ძირითადი დებულებები ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვარიდან, ხოლო სხვა ცალკეული საკითხების ამოქმედების ვადად განსაზღვრულია 2027 და 2029 წელი.

- საქართველოს მთავრობის მიერ, 2022 წლის 1 აგვისტოს, მიღებულ იქნა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე, ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების დამტკიცების შესახებ" №411 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების პროექტი მომზადებულ იქნა და საქართველოს მთავრობას წარედგინა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით. სამართლებრივი აქტის პროექტი შემუშავებულ იქნა საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმის ტექნიკური მხარდაჭერის (GESRP) საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით. საგულისხმოა, რომ დადგენილების მიზანს წარმოადგენს ენერგოეფექტური საჯარო შესყიდვების შესახებ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული, ენერგოეფექტურობის შესახებ 2012/27/EU დირექტივის მე-6 მუხლითა და III დანართით განსაზღვრული დებულებების დანერგვა ეროვნულ კანონმდებლობაში.

დადგენილებით განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის სახელმძღვანელო პრინციპები, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესები, მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელების პროცედურები, ასევე, იმ შესყიდვის ობიექტების CPV კოდები, რომელთა შესყიდვისას სავალდებულოა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენება. დადგენილებით ასევე დგინდება ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრები და იმ შემსყიდველ ორგანიზაციათა სია, რომელთათვისაც სავალდებულო იქნება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ენერგოეფექტურობის განხორციელების წესებისა და სახელმძღვანელო პრინციპების, აგრეთვე, ენერგოეფექტური სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით ეროვნული მონეტარული ზღვრების გამოყენება. საგულისხმოა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულია 2025 წლის 1 იანვარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2022 წლის განმავლობაში სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა და დადგენილი წესით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი. კერძოდ:

- „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრების გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 აგვისტოს №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 იანვრის №33 ბრძანება. განხორციელებული ცვლილების შედეგად, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში ასახულ იქნა, ევროკომისიის 2021 წლის 10 ნოემბრის №2021/1952 რეგულაციის შესაბამისად განახლებული, ევროკავშირის დირექტივებით დადგენილი მონეტარული ზღვრები.

- „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 აპრილის №34 ბრძანება. შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების პროცესზე სისტემატიური დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე, ზემოაღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა, რომ ექსკლუზიური უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იქნეს მომართვის წარდგენამდე/გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ექსკლუზიური უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია კონკრეტული ვადით და აღნიშნული ვადა არ არის ამოწურული.

- „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 3 მაისის №35 ბრძანება. განხორცილებული ცვლილებით დადგინდა, რომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გაფორმებული/გასაფორმებელი ხელშეკრულებების ფარგლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, აგრეთვე დასაშვებია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ღირებულების ცვლილება „ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ფასთა ინდექსაციის გამოყენების საფუძვლების, პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 27 აპრილის №753 განკარგულებით გათვალისწინებული წესით.

- „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

თავმჯდომარის 2022 წლის 17 აგვისტოს №36, 2022 წლის 25 აგვისტოს №37 და თავმჯდომარის 2022 წლის 11 ოქტომბრის №38 ბრძანებები. ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს №1379, 2022 წლის 26 აგვისტოს №748 და 2022 წლის 12 სექტემბრის №1646 განკარგულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა. კერძოდ, დადგინდა, რომ საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებების შესაბამისად, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრულ კონრკეტულ CPV კოდებზე, ელექტრონული ტენდერი შესაძლებელია ჩატარდეს პრეისკურანტის საფუძველზე.

- „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 დეკემბრის №39 ბრძანება. განხორცილებული ცვლილების შედეგად, ბრძანებაში ასახულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, ლეგალიზაციის/აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობებით ეფექტიანად სარგებლობის მიზნით, განისაზღვრა, რომ უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალის (მუდმივი დაწესებულების) თეთრ სიაში დასარეგისტრირებლად, არ მოითხოვება ძირითადი საწარმოს სახელზე გაცემული, სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მიღებული არანაკლებ ორი ცნობის (მის მიერ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების შესახებ) სააგენტოსთვის წარდგენა.

გარდა ამისა, 2022 წლის განმავლობაში სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა ევროპელ ექსპერტთან (USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში) „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების მიზნით, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს 2025 წლის 1 იანვარამდე და მიმდინარეობს აქტიური მუშაობა მათი პროექტების მომზადებისა და კანონპროექტით განსაზღვრული ახალი შესაძლებლობების, პროცედურების, ინსტრუმენტებისა თუ ინოვაციური მიდგომების ჰარმონიული ინტეგრირების უზრუნველსაყოფად.

ამრიგად, გატარებული რეფორმების შედეგად, ეროვნული კანონმდებლობა უფრო მეტად დაუახლოვდება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებსა და რეგულაციებს საჯარო შესყიდვების სფეროში, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და შესაბამისად, ევროკავშირთან საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დაახლოებას.

3. ცენტრალიზებული შესყიდვები

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, გარკვეული ტიპის შესყიდვის ობიექტებზე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს შესყიდვებს ცენტრალიზებული ფორმით, ე.წ. "კონსოლიდირებული ტენდერების" საშუალებით. 2022 წლის შესყიდვების ცენტრალიზებულად (კონსოლიდირებულად) ჩატარების მიზნით, ელექტრონული სისტემის მეშვეობით გამოცხადდა და ამასთან, გამარჯვებული გამოვლინდა შემდეგ კონსოლიდირებულ ტენდერებში:

ცხრილი N15: 2022 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერების რაოდენობა შესყიდვის ობიექტის მიხედვით

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა (გამარჯვებული გამოვლენილია)
1	ფარმაცევტული პროდუქტები	189
2	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურება (მოსწავლეების ტრანსპორტირება)	60
3	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავები	50
4	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტი	41
5	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	12
6	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10
7	ნავთობპროდუქტები (საწვავი)	7
8	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანები	5
9	წიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები)	4
10	სატელევიზიო საეთერო დრო (wGRP)	4
11	სამედიცინო სახარჯი მასალები	3
12	M3 კატეგორიის ავტობუსები	2
13	ავეჯი	2
14	ნაგავშემკრები კონტეინერები (1100 ლიტრიანი)	2
15	დეზობარიერის სადეზინფექციო სითხე	1
16	პირველკლასელთა და მათი დამრიგებლებისათვის განკუთვნილი, სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერი - სტანდარტული ნეთბუქი	1
17	ნიღბები	1
18	დეზობარიერები	1
19	სამედიცინო სახარჯი მასალები (თერმომეტრები)	1
20	ხელის სადეზინფექციო ხსნარი	1
21	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები	1
22	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთები და ზეთის ფილტრები	1
23	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	1
24	ხელის სადეზინფექციო სითხის დისპენსერი	1
25	არასტერილური სამედიცინო მარლა	1
26	ბახილები	1
სულ:		**403**

კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისათვის განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი აუცილებელი სამართლებრივი და ორგანიზაციული ღონისძიებები. მომზადდა საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების თაობაზე, ასევე თითოეული კონსოლიდირებული ტენდერის

ფარგლებში გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც განთავსდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-პორტალზე.

კონსოლიდირებული ტენდერების გზით განხორციელებული შესყიდვების საწყისმა სავარაუდო ჯამურმა ღირებულებამ 2022 წელს 580 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა, საიდანაც 543 მლნ. ლარს გაუტოლდა ელექტრონულ ვაჭრობაში დაფიქსირებული საბოლოო ღირებულება; შესაბამისად, ვაჭრობის შედეგად მიღებულმა ეკონომიამ დაახლოებით 36 მლნ. ლარს გადააჭარბა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც სააგენტოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ეფექტიანი ბაზრის კვლევისა და კონსულტაციების შედეგად, კონსოლიდირებულ ტენდერებში საწყის სავარაუდო ფასებად ფიქსირდება მინიმალური ფასები, რის გამოც ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომია მცირდება. აღნიშნულ შემთხვევებში, ცენტრალიზებული შესყიდვების ეფექტიანობის გამოსახატად, მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად მიღებული ეკონომიის მაჩვენებელი არ იძლევა ობიექტურ სურათს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმის შედეგების ობიექტურად შესაფასებლად, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს ასევე საცალო და საბაზრო ფასები (იხილეთ ცხრილი N16).

ცხრილი N16: 2022 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები შესყიდვის ობიექტის, რაოდენობის, საწყისი ჯამური ღირებულებისა და ეკონომიის მიხედვით[12]

[12] ვინაიდან ტენდერების უმრავლესობა აერთიანებს მრავალი სხვადასხვა დასახელების, სახეობისა თუ სპეციფიკაციის პროდუქტს, შეუძლებელია ზუსტი ეკონომიის გამოთვლა საბაზრო ფასებთან შედარებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომია საბაზრო ფასებთან მიმართებაში, დათვლილია მიახლოებით, საცალო ბაზარზე არსებული ფასების გასაშუალოებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

N	შესყიდვის ობიექტი	გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა (გამარჯვებული გამოვლენილია)	გამოცხადებული რაოდენობა	საწყისი ჯამური ღირებულება (ლარი)	ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ჯამური ღირებულება (ლარი)	ელექტრონულ ტენდერში ვაჭრობის შედეგად მიღებული ჯამური ეკონომია (ლარი)	სავარაუდო ეკონომია (საშუალო საბაზრო ფასთან მიმართებაში) ლარი
1	ფარმაცევტული პროდუქტები	189	1 077 სხვადასხვა დასახელების, დოზის და ფორმის 38 341 980 ცალი მედიკამენტი	54,067,742	46,517,137	7,550,605	61,504,707
2	სხვადასხვა სახის საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები (მოსწავლეების ტრანსპორტირება)	60	სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება სულ 60 მუნიციპალიტეტში	18,677,557	18,380,647	296,910	-
3	სხვადასხვა ზომის დიდი და მცირე ტვირთამწეობის საბურავები	50	69 918 ცალი	22,107,107	20,782,845	1,324,262	7,897,481
4	სხვადასხვა სახის კვების პროდუქტი	41	96 სახეობის პროდუქტი	28,119,772	27,449,532	670,240	14,722,669
5	სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურება	12	374 შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული - 11 760 სატრანსპორტო საშუალებისთვის	16,847,760	13,004,909	3,842,852	8,071,676
6	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	10	869 ერთეული	74,070,619	73,656,134	414,485	2,607,000
7	ნავთობპროდუქტები (საწვავი)	7	74 400 000 ლიტრი	207,746,000	207,286,000	460,000	57,566,416
8	ერთჯერადი სამედიცინო ხელთათმანები	5	26 962 352 წყვილი სამედიცინო ხელთათმანი	5,980,520	5,797,937	182,583	10,499,216
9	წიგნების ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება (გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები)	4	5 072 009 სახელმძღვანელო	17,846,973	16,650,925	1,196,048	46,622,590
10	სატელევიზიო საეთერო დრო (wGRP)	4	აღნიშნული კონსოლიდირებული ტენდერი არ ცხადდება სავარაუდო რაოდენობაზე, თუმცა 2022 წლის განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდულმა საეთერო დრომ (WGRP) ჯამში შეადგინა - 29 825.07 wGRP, ჯამური ღირებულებით - 1 664 306.26	-	-	-	6,857,142
11	სამედიცინო სახარჯი მასალები	3	80 სხვადასხვა დასახელების 34 691 765 ცალი სამედიცინო სახარჯი მასალა	6,983,609	6,625,266	358,343	5,967,555
12	M3 კატეგორიის ავტობუსები	2	95 ერთეული	54,730,600	50,765,684	3,964,916	-
13	ავეჯი	2	28 856 ერთეული (გაერთიანებულია 15 ესკიზის მონაცემი)	4,123,640	3,712,944	410,696	2,101,645
14	ნაგავშემკრები კონტეინერები (1100 ლიტრიანი)	2	3 803 ცალი	2,516,800	2,377,068	139,732	1,976,132
15	დეზობარიერის სადეზინფექციო სითხე	1	7 603.80 ლიტრი კონცენტრანტი (7 603 800 ლიტრი მზა ხსნარი)	144,472	109,799	34,673	1,437,574
16	პირველკლასელთა და მათი დამრიგებლებისათვის განკუთვნილი, სტანდარტული პორტბელური/სატარებელი კომპიუტერი - სტანდარტული ნეთბუქი	1	60 000 ცალი	48,000,000	34,380,000	13,620,000	31,560,000
17	ნიღბები	1	29 841 670 ცალი	2,088,917	2,059,075	29,842	3,014,009
18	დეზობარიერები	1	5 781 ცალი	225,459	214,880	10,579	141,037
19	სამედიცინო სახარჯი მასალები **(თერმომეტრები)**	1	2 881 ცალი	63,382	51,858	11,524	181,503
20	ხელის სადეზინფექციო ხსნარი	1	1 248 504 ლიტრი	6,954,839	5,356,577	1,598,262	6,891,247
21	სატრანსპორტო საშუალებების აკუმულატორები	1	9413 ცალი	2,086,536	1,919,613	166,923	1,345,000
22	სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთები და ზეთის ფილტრები	1	381 720 ლიტრი ზეთი და 48 000 ცალი ფილტრი	4,597,013	4,344,177	252,836	2,225,000
23	A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი	1	120 000 შეკვრა	1,080,000	1,080,000	-	180,000
24	ხელის სადეზინფექციო სითხის დისპენსერი	1	7 438 ცალი	505,784	505,784	-	171,074
25	არასტერილური სამედიცინო მარლა	1	220 119 ცალი	510,676	460,049	50,627	424,830
26	ბახილები	1	2 775 315 წყვილი	138,766	88,811	49,955	281,232
სულ:		**403**	**-**	**580,214,542**	**543,577,650**	**36,636,892**	**274,246,736**

2022 წელს კონსოლიდირებული ტენდერების გზით მიღებულმა ეკონომიამ შესაბამისი შესყიდვის ობიექტების საცალო და საბითუმო ფასებთან მიმართებაში გადააჭარბა 270 მილიონ ლარს. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ თანხაში არ შედის სხვადასხვა შესყიდვის ობიექტების დანაზოგი.

2022 წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის ელ.-სისტემაში - ctd.spa.ge დანერგილი საწვავისა და საბეჭდი ქაღალდის ნებართვის სპეციალიზებულ მოდულში, შემსყიდველების მხრიდან წარმოდგენილი იყო საწვავისა და ქაღალდის 5000-ზე მეტი ნებართვა. აღნიშნულზე სააგენტოს მხრიდან განხორციელდა დროული რეაგირება და თითოეულ ნებართვას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი შემუშავებული რეგულაციებისა და მითითებების გათვალისწინებით. მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა ctd-მოდულის დახვეწა/განახლების სამუშაოები, რაც გაამარტივებს შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან არსებული მოთხოვნების შესწავლას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ინტენსიურად აგრძელებს ანალიტიკურ და კვლევით საქმიანობას, რათა მოხდეს სხვა, დამატებითი შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირება, რომელთა ცენტრალიზებული შესყიდვაც გამართლებული იქნება საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი ხარჯვის პრინციპის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

4. გამარტივებული შესყიდვები

2022 წელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში შემოსული მომართვების რაოდენობამ, 4,178 შეადგინა; აქედან, 3,770 შემთხვევაში გაიცა თანხმობა; ხოლო გახმობილი, უარყოფილი და განუხილველი მომართვების რაოდენობამ კი 408 შეადგინა. ქვემოთ მოცემულ N17 და N18 დიაგრამებზე მოცემულია სტატისტიკური მაჩვენებლები გამარტივებული შესყიდვების საფუძვლებისა და სტატუსების მიხედვით.

2022 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით გაფორმებული ხელშეკრულებების მოცულობამ შეადგინა სახელმწიფო შესყიდვების საერთო მოცულობის 17.6%. აღსანიშნავია, რომ 2021 წელთან შედარებით გამარტივებული შესყიდვებით განხორციელებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება 0.4%-ით არის შემცირებული.

დიაგრამა N17: 2022 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის საფუძვლის მიხედვით



დიაგრამა N18: 2022 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების განაწილება მიმართვის სტატუსების მიხედვით



აღნიშნული დიაგრამიდან იკვეთება, რომ დადებითი პასუხი გაცემულია მომართვების 90.2%-ზე, 7.2% უკან იქნა გახმობილი, ხოლო 2.5%-ის შემთხვევაში განუხილველი დარჩა მომართვა.

2022 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ცხრილი N17-ში.

ცხრილი N17:2022 წელს გამარტივებული შესყიდვების შეთანხმების ელ.-მოდულში შემოსული განცხადებების დეტალური სტატისტიკა

მომართვის საფუძველი	თანხმობა	გახმობილია	უარყოფა	განუხილველი	ჯამი
გადაუდებელი აუცილებლობა	1,676	177	1	55	1,909
ექსკლუზიური უფლებამოსილება	1,093	60	1	34	1,188
ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება	288	26	-	3	317
ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება	66	13	1	6	86
შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ	647	24	-	7	678
ჯამი	3,770	300	3	105	4,178

5. „თეთრი სიის“ წარმოება

2022 წელს, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებლის რეესტრში, ე.წ. “თეთრ სიაში“ ეკონომიკური ოპერატორების დარეგისტრირების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების ჯამურმა რაოდენობამ 206 შეადგინა. რეგისტრაციასთან და რეგისტრაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით სააგენტომ მიიღო ჯამში 172 გადაწყვეტილება, უარი ეთქვა 9 შემთხვევაში, ხოლო განუხილველად დარჩა 25 შემთხვევა (იხ. N19 დიაგრამა).

დიაგრამა N19: 2022 წელს „თეთრ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



6. „შავი სიის“ წარმოება

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა რეესტრის, ე.წ. „შავი სიის“ წარმოებასაც.

„შავ სიაში“ მიმწოდებლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, შავი სიისა და გაფრთხილებულ მიმწოდებელთა რეესტრში სულ გაკეთდა 665 სარეგისტრაციო ჩანაწერი, აქედან 512 შემთხვევაში მიმწოდებლები სააგენტოს მიერ დარეგისტრირდნენ „შავ სიაში“, ხოლო 153 მიმწოდებელს მიეცა გაფრთხილება (იხ. N20 დიაგრამა).

დიაგრამა N20: 2022 წელს „შავ სიაში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების განაწილება სტატუსების მიხედვით



7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები და სასამართლო დავები

2022 წელს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მომზადებული 64 მოხსენებითი ბარათის შესწავლის შემდგომ, განხორციელდა მათში აღწერილი ქმედებების კვალიფიკაცია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით და გაგზავნილ იქნა წერილობითი შეტყობინებები შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის. სათანადო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, შედგენილ იქნა და სასამართლოს გადაეგზავნა 64 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, 197 პირის მიმართ. სამართალწარმოების პროცესში, სასამართლოს მიერ შეწყვეტილ იქნა წარმოება ადმინისტრაციული სამართალდამრღვევ 1 პირთან მიმართებით.

2022 წელს, სააგენტოს მონაწილეობით ჩატარდა 465 სასამართლო პროცესი. სააგენტოს მიერ მომზადებული იქნა 23 კერძო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე, აქედან 5 კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, 7 კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 11 კერძო საჩივარი განხილვის ეტაპზეა.

2022 წელს, შავ სიასთან დაკავშირებით გასაჩივრებული იქნა 61 განკარგულება (2022 წელს სააგენტოს მიერ განხორციელდა სულ 749 გადაწყვეტილება), რომლებიც ამ ეტაპზე განხილვის პროცესშია. ასევე, გასაჩივრებული იქნა 7 განკარგულება თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ, 2022 წელს გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება თეთრ სიასთან მიმართებაში, რომლებზედაც სააგენტოს მიერ წარდგენილი კერძო საჩივრებიდან, სააგენტოს პოზიცია სააპელაციო სასამართლოს მიერ 2 საქმეზე გაზიარებულ იქნა და გაუქმდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

ამასთან, განსჯადობის მიხედვით სააგენტომ წარადგინა 8 ადმინისტრაციული სარჩელი 1%-იანი გარანტიის დაბრუნების მოთხოვნით, აქედან 4 საქმე მოგებული იქნა სააგენტოს მიერ პირველ ინსტანციაში, რაც მხარეთა მიერ გასაჩივრდა ზემდგომ ინსტანციებში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო წარმოადგენდა მხარეს 5 სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით, რომლებზეც წარდგენილ იქნა შესაგებლები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სააგენტოს მიერ წარდგენილი 2 სააპელაციო საჩივარი, ხოლო ერთი საჩივრის შემთხვევაში მიიღო ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება.

ასევე, წარდგენილ იქნა 3 საკასაციო საჩივარი, რომლებზეც განჩინება ამ ეტაპზე არაა წარმოდგენილი. 2022 წელს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო და დასაშვებად მიიჩნია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა სააგენტოს მოთხოვნა. აღნიშნული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანი პრეცედენტი შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.

2022 წელს გასაჩივრდა 6 კონსოლიდირებული ტენდერის გადაწყვეტილება რომლებზეც წარედგინა შესაგებელები, როგორც შესყიდვების სააგენტოს მიერ, ასევე კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის სახელით. ასევე, სააგენტოს მიერ წარდგენილი იქნა სხვადასხვა კატეგორიის სარჩელებზე (8 საქმის შეთხვევაში), რომლებიც გასაჩივრებული იქნა სასამართლოში შესაბამისი პოზიცია.

8. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, პერმანენტულად ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგის დეპარტამენტი აწარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემურ შესწავლასა და ანალიზს, ასევე ეცნობა საერთაშორისოდ აღიარებულ საუკეთესო პრაქტიკას. სწორედ მსგავსი კვლევებისა და ანალიზის საფუძველზე, მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, მომზადდა ცვლილებები რისკფაქტორების ავტომატური შეტყობინებების სისტემაში, სახელდობრ, რისკფაქტორების ჯგუფებს დაემატა ახალი რისკფაქტორები, ასევე, დაკორექტირდა მასში შემავალი კრიტერიუმები.

2022 წელს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განხორციელდა eProcurement სისტემაში ინტეგრირებული სერვისის - ავტომატური შეტყობინებების საშუალებით სხვადასხვა რისკ-ფაქტორებისა და კრიტერიუმების მიხედვით გაფილტრული „ხელშეკრულება დადებულია“ სტატუსის მქონე 14,567 და „შეწყვეტილია“, „არ შედგა“ და „დასრულდა უარყოფითი შედეგით“ სტატუსის მქონე 823 ელექტრონული ტენდერის სრულფასოვანი მონიტორინგი.

6,711 ტენდერში განხორციელდა პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შესაბამისობა, სისტემაში დისკვალიფიკაციის დაფიქსირებისთანავე, კერძოდ, შემოწმდა რამდენად შეესაბამებოდა სისტემაში მითითებული დისკვალიფიკაციის საფუძველი შესაბამისი ოქმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რათა შეუსაბამობის შემთხვევაში eProcurement სისტემას შეცდომით არ გაეგზავნა შეტყობინება პრეტენდენტის საგარანტიო თანხის ჩამოჭრა-დაბრუნებასთან დაკავშირებით. ასევე, გადამოწმდა ტენდერის შეწყვეტის შესაბამისობის საკითხი, კერძოდ, ტენდერის შეწყვეტის ოქმში რამდენად ადეკვატურად იყო ასახული მოცემული ტენდერის შეწყვეტის განმაპირობებელი გარემოებები.

ასევე, განხორციელდა eProcurement სისტემის CMR მოდულში ატვირთული 69,027 ხელშეკრულების, აგრეთვე გამოცხადებული 30 კონკურსის მონიტორინგი.

გამოვლენილ დარღვევებზე შემსყიდველ ორგანიზაციებს გაეგზავნათ 2,129 წერილი. 61 შემსყიდველ ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემადგენლობა, მომზადდა სათანადო მოხსენებითი ბარათები, კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმისათვის შემდგომი მსვლელობის მისაცემად, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში სააგენტო შემოიფარგლა წერილობითი მითითებით-რეკომენდაციით.

9. ადამიანური რესურსების განვითარება

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი 2014 წლიდან წარმატებით ახორციელებს მრავალი ბენეფიციარის სწავლებას. სააგენტოს სასწავლო ცენტრმა გასული ცხრა წლის განმავლობაში ბევრი წარმატებული პროგრამა შექმნა, წარადგინა და გადაამზადა შესყიდვების ათასობით სპეციალისტი.

ყოველწლიურად განახლებული პროგრამები საშუალებას აძლევს ქვეყანაში მოქმედ შესყიდვების სპეციალისტებს თანმიმდევრულად მიყვნენ საკანონმდებლო რეგულაციებში შეტანილ ცვლილებებს, შეისწავლონ საუკეთესო პრაქტიკა და დეტალურად გაეცნონ ელექტრონულ სერვისებში განხორციელებულ ინოვაციაბს. 2022 წელს გადამზადებული მსმენელების რაოდენობამ 582, ხოლო 2014-2022 წლებში ჯამურად 6,942 შეადგინა.

2022 წელს სასწავლო ცენტრში 5 განსხვავებული პროგრამით ჩატარდა ტრენინგები შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის:

- **შესყიდვების საბაზისო კურსი დისტანციურად**
  197 (რვა ნაკადი)
- **სახელმწიფო შესყიდვების სპეც-კურსი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის**
  18
- **სახელმწიფო შესყიდვების კურსი**
  68 (ხუთი ნაკადი)
- **კურსი დამწყებთათვის**
  147 (შვიდი ნაკადი)
- **სპეციალიზებული კურსი**
  152 (ექვსი ნაკადი)

2022 წლის განმავლობაში სასწავლო ცენტრი თანამშრომლობდა არა ერთ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ამასთანავე, 2022 წელს სამომავლო თანამშრომლობის მიზნით მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები საჯარო სექტორის შემდეგ ტრენინგ ინსტიტუციებთან:

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჯარო აუდიტის ინსტიტუტი;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემია;
- იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
- საჯარო სამსახურის ბიურო;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტრენინგ ცენტრი.

10. მომხმარებლებთან საქმიანი კომუნიკაცია

2022 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დოკუმენტბრუნვამ (შემოსული და გასული წერილების რაოდენობამ) შეადგინა 10,702 (2021 წელს ეს ციფრი შეადგენდა 14,850). აგრეთვე, სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (info@procurement.gov.ge) შემოვიდა და მსვლელობა მიეცა 4,143 წერილს.

eProcurement სისტემაში ჩაშენებული მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა (SMS) და სისტემური შეტყობინებების მეშვეობით, ასევე ვებ-პორტალის procurement.gov.ge/spa.ge სერვისების მეშვეობით, სახელმწიფო შესყიდვებით დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევათ მუდმივ რეჟიმში იყვნენ ინფორმირებული ცვლილებების, განცხადებების, ახალი რეგულაციების შემოღებისა და სხვა სერვისების განვითარების შესახებ. ასევე, ყველა მომხმარებელს ეძლევა საშუალება მიიღოს დროული და ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ. მხოლოდ 2022 წელს გაგზავნილი სისტემური შეტყობინებების ჯამურმა რაოდენობამ დაახლოებით 50 მილიონს გადააჭარბა, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინებების რაოდენობამ კი 231,367 შეადგინა.

მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში შემოვიდა და პასუხი გაეცა 13,324 ზარს (ცხელი ხაზის თანამშრომლები, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, პასუხს სცემენ როგორც კანონმდებლობით განსაზღვრულ დებულებებზე ასევე, შინაარსობრივ, ელექტრონული სისტემით სარგებლობის, მონიტორინგის, კონსოლიდირებული შესყიდვების და ა. შ. საკითხებზე).

ცხელ ხაზზე შემოსული ზარების სტატისტიკა		
ტექნიკური პარამეტრები/სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული კითხვები	5,334	40%
საბანკო მომსახურეობასთან დაკავშირებული საკითხები	1,058	7.90%
კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები	3,772	28.30%
დავებთან/დავების საბჭოსთან დაკავშირებული კითხვები	621	4.70%
კონსოლიდირებული ტენდერები	2,393	18%
გადაუდებელი აუცილებლობიდან გამოწვეული შესყიდვები	143	1.08%
სხვა	3	0.02%
სულ	**13,324**	**100%**

11. საერთაშორისო ურთიერთობები

2022 წელი იყო პირველი პოსტპანდემიური წელი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის განსაკუთრებულად დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა. გაიმართა არაერთი **საერთაშორისო ვიზიტი, სასწავლო ტური, სემინარი და კონფერენცია.**

2022 წლის განმავლობაში, პერიოდულად მზადდებოდა სააგენტოს მიერ **საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კვარტალური და წლიური გეგმები და ანგარიშები**, მათ შორის ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების (AA-DCFTA), საჯარო ფინანსების მართვის (PFM) და PAR რეფორმების ფარგლებში; ასევე მიმდინარეობდა აქტიური **თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან** „საჯარო დანახარჯებისა და ანგარიშვალდებულების შეფასების“ (PEFA), ასევე OECD “SME Policy Index“ შეფასების ფარგლებში, რაც ითვალისწინებს საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული პოლიტიკის და შედეგების შეფასებას.

ხსენებული რეფორმების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სააგენტოს პასუხისმგებელი პირები აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობის მიერ შექმნილი მრავალი საკოორდინაციო საბჭოსა თუ კომისიის მუშაობაში.

2022 წლის 21-22 ივლისს, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით და UN Global Compact (გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი), ასევე პარლამენტთან თანამშრომლობით, საჯარო შესყიდვების შესახებ კანონპროექტის განხილვის მიზნით გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების წარმომადგენლებმა. შეხვედრის მიზანი იყო პარლამენტის წევრებისათვის კანონპროექტის ძირითადი დებულებების გაცნობა.

USAID-ის ეკონომიკური
მმართველობის პროგრამა
Empowered by coll

2022 წლის 8 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ **საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრ კომპანიებთან შეხვედრა** გამართა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებული „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ ბიზნეს სექტორისთვის ინფორმაციის მიწოდებას.

შეხვედრა, რომელსაც 50-მდე კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა.

მთელი წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა აქტიური **მოლაპარაკებები და თანამშრომლობა ევროკომისიასთან**, ევროკომისიის გენერალურ დირექტორატებთან (DG GROW, DG TRADE, DG NEAR, DG DEFIS); გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, მათ შორის აღსანიშნავია ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების კომიტეტის მორიგი წლიური სხდომა და წინმსწრები მოლაპარაკებები, სადაც სააგენტო წარსდგა 2022 წლის შემაჯამებელი ანგარიშით და 2023 წლის გეგმებით. EU-Georgia ACTC კომიტეტის საოქმო ჩანაწერებით, შეთანხმდა და გაიწერა თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები.

2022 წლის 14 თებერვალს გაიმართა ონლაინ შეხვედრა - „ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ex-post შეფასების შუალედური შედეგები“.** სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო შეფასების შუალედური შედეგების პრეზენტაცია და განხილვა.

2022 წლის 24 თებერვალს გაიმართა გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ფარგლებში ვაჭრობის საკითხებზე კომიტეტის პირველი შეხვედრა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს შეთანხმების ტექსტში ბრიტანეთის მხარის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები, რომელიც ეხებოდა საჯარო შესყიდვების სფეროში სამედიცინო მომსახურების გარკვეული კატეგორიებს.

2022 წლის 10 მარტს, მსოფლიო ბანკის რეგიონული ოფისის ორგანიზებით, გაიმართა რეგიონული ვორკშოპი საქართველოსა და სომხეთის წარმომადგენლებისათვის თემაზე „ერთობლივი მუშაობა შესყიდვებში თაღლითობისა და კორუფციის აღმოფხვრის მიზნით“.

2022 წლის 23-24 მარტს, აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით, გაიმართა ორდღიანი კონფერენცია თემაზე „ეკოლოგიურად მდგრადი საჯარო შესყიდვები“. კონფერენციას ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ათობით მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2022 წლის 30 მაისსა და 27 ივნისს გაიმართა ორი ტრენინგი „საქართველოში მდგრადი საჯარო შესყიდვების წახალისება: მწვანე კრიტერიუმები ფოტო ასლების გადასაღები მოწყობილობებისა და სახარჯი მასალებისათვის“. ტრენინგი ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული “EU4Environment” პროგრამის ფარგლებში.

რემოსდაცვითი
ორმაციისა და განათლების
ნტრი
VIRONN
RMATION AN
NTRE

2022 წლის 13-15 ივნისს, ხორვატიის ქალაქ ზაგრებში, აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) ორგანიზებით გაიმართა **რეგიონალური კონფერენცია კიბერუსაფრთხოების და 5G სისტემების დანერგვის** თაობაზე. კონფერენციის მიზანი იყო მონაწილე ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარება სამართლებრივი და მარეგულირებელი კანონმდებლობის დანერგვის მიზნით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებმა, რომლებიც გაეცნენ სახელმწიფო და მუნიციპალური ელექტრონული სერვისების, კომპიუტერული სისტემების დანერგვისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებს.

2022 წლის, 4-6 ივლისს, იტალიაში, რომის უნივერსიტეტში გაიმართა ყოველწლიური **საერთაშორისო კონფერენცია საჯარო შესყიდვების თემატიკაზე** - GPC2022 - 7th Global Procurement Conference. სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო დისკუსიებში, დაამყარეს საქმიანი კონტაქტები კოლეგებთან სხვადასხვა ქვეყნებიდან, დამატებით მოლაპარაკებები გამართეს სამომავლო თანამშრომლობაზე იტალიის, აშშ, მაკედონიის, უკრაინის, აზერბაიჯანისა და ბელორუსის ოფიციალურ პირებთან.

2022 წლის 14-16 სექტემბერს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და GITA წარმომადგენლები, **სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ნორვეგიის** ქალაქ დრამენსა და ოსლოში. ვიზიტი გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპისთვის ეკონომიკური კომისიის (UNECE) ორგანიზებით. ვიზიტის მიზანი იყო საჯარო შესყიდვებში ინოვაციების ხელშემწყობი რეგულაციების ტრანსპოზიციის მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა. ამ მიზნით ისეთი ახალი კონცეფციებისა და მიდგომების შემოღება, როგორებიცაა ცირკულარული ეკონომიკის პრინციპები და წარმოება, ე.წ. „მწვანე“ შესყიდვების (GPP) ესკალაცია, SPP (Sustainable Public Procurement), IEP (Innovation-Enhancing Procurement), ენერგო-ეფექტური შესყიდვების ფართო გამოყენება/დანერგვა, ეკო-მარკირება და სხვა.

2022 წლის 10-12 ოქტომბერს, აშშ-ს კომერციული სამართლის პროგრამის (CLDP) ორგანიზებით, ლიეტუვის ქალაქ ვილნიუსში გაიმართა **აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონული სემინარი თემაზე „მდგრადი საჯარო შესყიდვები“.** ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

2022 წლის 19-21 სექტემბერს ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში, გაიმართა **მსოფლიო ბანკის საჯარო შესყიდვების ყოველწლიური ფორუმი „PRIMO - მდგრადი განვითარების ხელშეწყობა საჯარო შესყიდვების გზით“.** ფორუმის მსვლელობაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც ფორუმის მონაწილეებს გაუზიარეს გამოცდილება საქართველოში საჯარო შესყიდვების სფეროში განხორციელებული რეფორმების თაობაზე.

2022 წლის 5-6 დეკემბერს ფილიპინების დედაქალაქ მანილაში გაიმართა აზიის განვითარების ბანკის მე-8 კონფერენცია „აზია - წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების ელექტრონული საჯარო შესყიდვების ქსელი (APPeN)“. კონფერენციის თემა იყო „საჯარო შესყიდვები მდგრადი განვითარების მხარდაჭერისთვის“. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც გააცნეს კონფერენციის მონაწილეებს საქართველოში ცენტრალიზებული შესყიდვების რეფორმების მიმდინარეობა.

2022 წელს სააგენტოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია სტუმრობდა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მისია ახორციელებს საქართველოში მნიშვნელოვან შეფასებას საჯარო სექტორში ინვესტიციებისა და საინვესტიციო პროექტების მართვის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. მისია დეტალურად დაინტერესდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროს მარეგულირებელი ნორმებით, ელექტრონული შესყიდვების განხორციელების არსებული პრაქტიკით და სხვა ასპექტებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, **საჯარო შესყიდვების რეფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებს** მართავდა. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონპროექტს გაეცნენ ქართული ბიზნეს-გაერთიანებების მრავალი წევრი, მათ შორის, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ბიზნეს ასოციაციის, დამსაქმებელთა ასოციაციის, მწარმოებელთა ფედერაციის, ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის, ევროპული ბიზნეს ასოციაციის და სხვა.

ICCA
USAID
ნინო ჩოხელი
ანა საბახტარიშვილი

ICCA
USAID

2022 წლის ნოემბერში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით, პრესტური გაიმართა კახეთში იმ მცირე და საშუალო საწარმოებში, სადაც ეკო-ინოვაციური მიდგომები უკვე გამოიყენება. პრესტურის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა მედიის წარმომადგენლების, მეწარმეებისა და გადაწყვეტილებების მიმღებთა შეკრებას მათი მოსაზრებების და გეგმების გაზიარების მიზნით მდგრადი ბიზნესის პრაქტიკებისა და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ასევე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას „მწვანე“ საჯარო შესყიდვების, ეკოეტიკეტირებისა და მდგრადი წარმოების უპირატესობების შესახებ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს საქართველოში „მწვანე“ შესყიდვების და ცირკულარული ეკონომიკისა და მისი პრინციპების დანერგვის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

12. პარტნიორებთან თანამშრომლობა

European Commission

NATO OTAN

UNDP

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

SIGMA

ILO International Labour Organization

UN environment

TAIEX

TWINNING

Delegation of the European Union to Georgia

UN GLOBAL COMPACT

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

UNOPS

WORLD TRADE ORGANIZATION

UN WOMEN United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

Sida

გერმანიის თანამშრომლობა DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

CLDP COMMERCIAL LAW DEVELOPMENT PROGRAM

THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP

UKaid from the British people

cim Centre for International Migration and Development a joint operation of GIZ and the German Federal Employment Agency

European Bank for Reconstruction and Development

TRANSPARENCY INTERNATIONAL the global coalition against corruption

European Investment Bank

DFID Department for International Development

ADB Asian Development Bank FIGHTING POVERTY IN ASIA AND THE PACIFIC

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION IDFI